სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/32

ქ. თბილისი 24 მარტი 2026 წ.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის –საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) კარლო კოპალიანის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 24 მარტის №01-05-02/07 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებული იქნეს წინადადება - **დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის სტრუქტურაში სახანძრო უსაფრთხოების განყოფილების შექმნის** თაობაზე;
2. მოწონებული იქნეს **დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის** დებულებისა და წარმოდგენილი ცვლილებების პროექტი უნივერსიტეტის სტრუქტურასა და საშტატო ნუსხაში (დანართები).
3. წინადადება ამ დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულის რეორგანიზაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით და შესაბამისი დებულების, სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის პროექტები დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს) უნივერსიტეტის ერთიან საშტატო ნუსხაში ასახვის მიზნით.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**